28 ოკტომბერს (9 ნოემბერს) 1866. № 35. პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: მრთის წლისა — 7 მან. 10-ის თვისა — 6 — ნახევრის წლისა — 4 — სამის თვისა — 2 — 50 კ.

გაუგზავნელათ: — — — 6 მან. — — — 5 — — — — 3 — 50 კ. — — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება

პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინა-არსი: ტფილისი, 26 ოკტომბერს. მმართებლობის განკარგულება.—წეს-დება ტფილისის საქალაქო მმართველობისა. უზენაესის სისხლის სამართლის გადაწყვეტილება. პოლიტიკა.—ინგლია.—ბერმანია.—იტალია.—ამერიკა. ტელეგრამმები. პოლშელების ხელ-ახლა განზრახვა ადგომისთვის. ლექსები: დროს კაცი. ბიბლიოგრაფიული ცნობა. ქერძოობითი განცხადება.

ტფილისი, 26 ღვინობისთვეს.

„უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენის ძვლებიდგან არ დაიბადოს ჩამომავლობა, რომელმაც დაგვიწყოს წყევლა და დევნა.“

(ერთი ლათინური სწავლული.)

ქართველო კაცო! შენ, ვგონებ შეეჩვიე ცოტ-ცოტათ პირში თქმასა. ბწყინს, თუ არა, ეს საჭიროა ვიცოდეთ, რომ შემდეგ ისე გელაპარაკოთ. ვიცით შენში ჯერ იმოდენაა, არ არის დაკარგული ის რაინდობა და ძველი გულ-გახსნილობა, რომ არ გიამოს შეიტყო შენს თავზედ სწორი ამბავი. შეგიძლიან, ჩემო ქართველო, იმაზედ დაგვემდურო, რომ ამბავი ისე არ გაცნობეთ; ჭეშმარიტება გამოგცალეთ; მაგრამ იმედი გვაქვს და არც სიმართლე გაქვს, იმაზედ დაგვემდურო, როდესაც პირში მართალს და ჭეშმარიტს ამბავს გეტყვით, თუნდ საკუთრათ შენზედაც რომ იყოს ნათქვამი ეს ამბავი. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, არიან კიდევ იმისთანა პირები, რომელთაც ყველა სწორეთ ნათქვამი ამბავი ქართველზედ და საქართველოზედ გინებათ მიაჩნიათ, და ჰგონიათ, ვითომც ჩვენ ქართველები არ გვიყვარს და ამიტომაც მივაწერთ ხოლმე იმათ ყოველს ცუდსა. ჩვენ კიდეც ვიცით, რომ არიან იმისთანა პირნი, რომელნიც ისე ფიქრობენ, მაგრამ, ჩვენს საუბედუროთ აშკარათ და სახალხოთ კი ხმას არ იღებენ და სხვა ნაირათ უცხო პირსა, ჩუმად უჩურჩულებენ ხოლმე, ვითომც ამისთანა მოქმედებით ქართველების სახელს დავიცავთო შეურაცხებისგან.

არა, მაგისთანა მოქმედებას, ცრუნო-მზრუნველნო, რიგიანი პირები არ დაგიმადლებენ და ჩვენ, ჩვენის მხრით, სულყველასა ვთხოვთ, რომ თუ რაშიმე ვცდებით, ან ტყუილს რასმე ვამბობთ, გვიჩვენონ და გაგვამტყუნონ სახალხოთ; ჩუმათ ლაპარაკს უცხო კაცთან კი თავი დაანებეთ. ჩუმათ ლაპარაკი ძალიან ადვილი საქმეა და, რასაკვირველია იმის მოქმედნიც ზურგს-უკან მოლაპარაკენი არიან. ყველამ ვიცით რაც ხელობა არის ზურგს-უკან ლაპარაკი უცხო კაცთან და რა მავნებელი საქმე გამოვა იქიდგან. . . . . .

ბირჩევ, ქართველო კაცო, თავი დაანებო ამისთანა მოქმედებას; გეყოს რაც ზურგს უკან ლაპარაკე შენს სიცოცხლეში და ენახეთ რაც ნაყოფი გამოვიდა მანდიდგან. ამიტომაც სჯობს თავი დაანებო. თუ გაქვს რამე სათქმელი, რომელიც მთელს საზოგადოებას შეეხება, თქვი სახალხოთ, თუნდ საკუთრათ ჩვენზედ. „დროების“ რედაქცია სულყოველთვის სიხარულით დაბეჭდავს ყველა სტატიებს, რომელშიაც კი იქნება ნაჩვენები რედაქციის შეცდომილება; რასაკვირველია ამასთანა უფლებაც კი ექნება იმას, რომ მოიხსენოს პირველათვე, თუ რაზედ არ ეთანახმება სტატიას, და პასუხიც მისცეს თავის დროს. სულყველა გონიერს და რიგიანს კაცს უნდა ესმოდეს, რომ აზრის გამოსათქმელათ ჩვენვე ერთი-ერთ-მანეთს არ უნდა ვსდევდეთ და აგრეთვე არც უნდა დავუშალოთ. რასაკვირველია ყველა კერძო პირს უნდა შეეძლოს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრი, რამდენათაც კანონი მისცემს უფლებას.

ამ ჟამათ დაგიწყოთ ლაპარაკი იმაზედ, რომ გაუნათლებლები, ღარიბები, ამაყ-გულიანები და მფანტველები ვართ დიდხანს გასწევს, და არავისთვის ეს ახალი ამბავი არ არის და სულყველამ ვიცით ეგ თითქმის. როგორც სჩანს ეს ნაკლულეკანება ჯერ კიდევ დიდხანს გასწევს. ვეცდებით ამაზედ სხვა ალაგს მოვილაპარაკოთ. ახლა კი გვსურს ორიოდე სიტყვის თქმა განათლებაზედ. . . . .

. . . . . .

უპირველესი ნიშანი განათლებისა არის წერა-კითხვის გავრცელება საზოგადოებაში და იმის ცოდნა, თუ რასა კითხულობს ხალხი და რა წარმოსდგება იქიდგან. ვინც კი თვალს ადევნებს ხალხების მოძრაობას და განათლებას, იმან იცის, რომ ყოველს ევროპიის და უმეტესად ამერიკის ქვეყნებში ცდილობენ, რომ ყველა საზოგადოების წევრმა უთუოთ იცოდეს წერა კითხვა. რომ ამ ცოტას ხანში წერა კითხვა ნეგრებშიაც კი, გავრცელდა ამის დასამტკიცებლათ წარმოვადგენთ ამ ფაქტსა: წრეულს ვირგინიაში (შტატია შეერთებულს ამერიკის შტატებში) იყო ამ გვარი შემთხვევა: 170 ამერიკელებში, რომელნიც იყვნენ სამუშაოთ ერთს ალაგას, მარტო სამმა იცოდა წერა, რომ მოეწერათ თავიანთი გვარი და სახელი; 140 ნეკრებიდგან კი 92 იცოდა წერა და კითხვა, რომლებმაც მოაწერეს ადვილათ თავიანთი გვარი და სახელი. ამერიკელი ვინკლერი ამოწმებს, რომ „სამხრეთის ამერიკის ნეგრები ძალიან ცდილობენო თავიანთს განათლებას. ნუ-ორლეანის შკოლებში 20 ათასი ნეგრების ქალი და ვაჟი დადიანო ყოველს დღეს. იმავე ქალაქში, 4 ათასი მოზრდილი კაცი დადის საღამოს შკოლებში“. ამაზედ რას იტყვი, ჩემო გულ გრილო ქართველო? ჩვენ შეგვიძლიან საქვეყნოდ ვსთქვათ, რომ საქართველოში მრავალი იმისთანა სოფელია, სადაც არამც თუ პატარამ, დიდებმაც კი არ იციან წერაკითხვა. მაგალითად არის ბევრი იმისთანა სოფელი, სადაც ას-ორმოცდა-ათს კომლში, მღვდლისა და დიაკვნის მეტმა ერთმა არავინ იცის წერა-კითხვა. რამდენი აზნაურის შვილები გვინახავს იმისთანა, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, თუმცა ძალიან კი ამაყობენ და ტრაბახობენ თავიანთის ჩამომავლობით. მრავალი იმისთანა თავადები და აზნაურები არიან რომლებმაც თავის სახელის და გვარის წაკითხვა და მოწერა თუ იციან, ისიც ძალიან კარგი საქმეა; წიგნის წაკითხვას ხომ ვინღა ჩივის. აი ის მაგალითი, ქართველო, რომ ჩვენ განათლებაში ნეგრებსაც კი დაუვარდით, იმ ნეგრებს, რომლებსაც ამ ოთხის და ხუთის წლის წინათ პირუტყვად რაცხავდნენ ამერიკაში. შენ კი, დიდგულო ქართველო, ძალიან ტრაბახობ ჩამომავლობით და გვაროვნობით.

ისიც გინდა შეიტყო, თუ რასა კითხულობენ ნეგრები? დიახ, ესეც კარგი შესატყობი ამბავია, რადგანაც მარტო წერა-კითხვა მაგდენს არას მისცემს ადამიანსა, თუ ამასთან ღონისძიება და რიგიანი წასაკითხავი წიგნებიც არა აქვს.

ამ ცოტას ხანში ამერიკის შეერთებულს შტატებში, ნეგრებს, რომლებსაც აქამდინ არა ფერი სამოქალაქო პატივი და უფლება არა ჰქონდათ, ამ ჟამათ აქვთ 9 ჟურნალი, რომლებიც კვირაში ერთხელ გამოდიან და ერთი საყოველდღეო გაზეთი. ამის გარდა სამხრეთ-ამერიკის შტატებში ნეგრებსავე აქვთ 5 გაზეთი: „Coloured Tenessecan“ — ნაშვილში; „Tribune“—ახალ-ორლეანში; „Nationalist“-მობილში; „Loyal Georgian“—ავგუსტში და „Comunicator“—ბალტიმორში. ამ გაზეთების და ჟურნალების რედაქტორები არიან თითონ ნეგრებივე. ამაზედ რაღას იტყვი, ჩემო ქართველო? აბა ერთი მითხარი: რა გაზეთები და ჟურნალები გამოდის ჭუთაისში, ზორში, თელავში, სიღნაღში და სხვაგან? ან რა სასწავლებლები გაქვს იქავე დაფუძნებული, რომელნიც დაედარნენ ნუ-ორლეანის სასწავლებლებს? . . . . . .

(შემდეგი მომავალს ნუმერში იქნება).

წეს-დება.

ტფილისის საქალაქო მმართველობაზედ.

თავი მესამე.

წესი, თუ როგორ უნდა მოხდეს ამორჩევა და კრებანი ამორჩევისთვის.

§ 69. ამორჩევისთვის სამ გვარნი კრებანი უნდა დაწესდნენ: 1) ქალაქის საზოგადოების კრება, ესე იგი კრება ყველა იმ პირებისა, რომელთაც კი ხმა აქვთ; 2) წოდებიდამ ამორჩეულების კრება და 3) განკერძოვებით რომელთამე წოდებათა კრებანი.

პირველი განყოფილება.

ქალაქის საზოგადოების კრება.

§ 70. ქალაქის საზოგადოების კრება სამის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ უნდა შეგროვდეს ქალაქის თავის ამოსარჩევლად. ამ კრების შეგროვებისთვის გუბერნატორმა უნდა მოახდინოს განკარგულება.

§ 71. ამორჩევის წინათ განკარგულების მომხდენმა მმართველობამ უნდა გამოაცხადოს იმ პირების სიები, რომლებსაც ხმა აქვთ ამორჩევაში და ორის თვის წინათ კრების შეგროვებამდის მაინც უნდა გამოცხადდეს საზოგადოთ ზემოხსენებული სიები იმ წესით, როგორიც უფრო შეეფერება ადგილობრივს მოთხოვნილებას.

§ 72. იმ დღიდამ, როდესაც ამომრჩეველების სიები გამოცხადდებიან, ორის კვირის განმავლობამდის ყოველ პირს შეუძლიან თავისი წინაალმდეგი აზრი გამოაცხადოს წერილით განკარგულების მომხდენს მმართველობაში, თუ რაიმე უკანონობა აღმოჩდა იმის აზრით ამ სიების შედგენაში. ამის შემდეგ თუ განკარგულების მომხდენი მმართველობა საფუძვლიანად დაინახავს ამ წინაალმდეგს პასუხს, მაშინ ის შეასწორებს სიებს ამ პასუხის თანახმად და წარუდგენს ამ სიებს გასახილველად ქალაქის საზოგადო კრებას თავის დასკვნითურთ იმ წინაალმდეგს აზრებზედ, რომლებისთვისაც განკარგულების მომხდენს მმართველობას ყურადღება არ მიუქცევია.

§ 73. ქალაქის საზოგადო კრება განიხილავს ზემოხსენებულს სიებს, დაამტკიცებს და გადაჭცემს განკარგულების მომხდენს მმართველობას ერთის თვის წინათ ამორჩევის მოხდომამდის, იმ განზრახვით, რომ იმან დროზედ მოახდინოს განკარგულება ამომრჩეველების შესაკრებათ და გამოუცხადოს ყოველგვარი ცვლილება, რაც იმან ჰყო ამომრჩეველების სიებში.

§ 74. თუ რომელიმე პირი არ დაჰკმაყოფილდა ქალაქის საზოგადო კრების განმარტებაზედ, იმას შეუძლიან ათის დღის განმავლობაში, იმ დროდამ, როცა ეს განმარტება გამოაცხადეს, იჩიელოს გუბერნიის სასამართლოში. თუ გუბერნიის სასამართლო საზოგადო ყრილობაში დარწმუნდება, რომ კერძო პირის საჩივარი სამართლიანია, მაშინ ის თავის გადაწყვეტილებას აცნობებს განკარგულების მომხდენს მმართველობას, რომ იმან ამ გადაწყვეტილების თანახმად მოახდინოს ცვლილება ამომრჩეველების სიებში.

§ 75. თუ რომელიმე გარემოების გამო გუბერნიის სასამართლომ ამორჩევის დროს დადგომამდის ვერ მოახდინა თავის გადაწყვეტილება, მაშინ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს ამორჩევა, როდესაც, უკანონოდ ამორჩეულს პირებს გარდა, ამორჩეული პირი ვერ მიიღებდა უმეტესს ხმას, თუ გუბერნიის სასამართლოდამ გადაწყვეტილება მოსწრებოდა.

§ 76. კრება შეირაცხება ნამდვილად მხოლოდ მაშინ, როდესაც კრებაში ერთი მესამედი წარმომადგენლებისა მაინც იმყოფება.

§ 77. კრებაში უნდა იმყოფებოდნენ თავსმჯდომარედ: ერთს განყოფილებაში-ქალაქის თავი და მეორე განყოფილებაში—თავისაგან ამორჩეულნი მეუფროსენი და განკარგულების მომხდენის საზოგადოების წევრნი, რომლებიც ამორჩევიან ქალაქის მცხოვრებლების სხვა და სხვა რიგიდამ.

§ 78. ქალაქის მცხოვრებლების თვითოეული რიგი ცალკე ამოარჩევს თავის წარმომადგენლებს, მაგრამ როდესაც ამომრჩეველები ბევრნი იქნებიან, მაშინ იმათ დაჰყოფენ უბან უბნათ, ისე რომ თვითო უბანში ექვს ასს კაცზედ მეტი არ უნდა იყოს. თვითოეული უბანი ამოირჩევს იმდენს წარმომადგენელს, რამდენიც იმას შეხვდება განკარგულების მომხდენის მმართველობის ანგარიშით.

§ 79. როდესაც ამორჩევა ეათაედება, მაშინ თვითოეულის განკერძოვებულის კრების თავს-მჯდომარე ყველას წინ შეადგენს სიებს ამორჩეულის წარმომადგენლებისას და წარუდგენს განკარგულების მომხდენს მმართველობას, და ის კი ყველა ამ გვარს სიებს წარუდგენს, § 13 ძალით, ქალაქის საზოგადო კრების განსახილველად, და შესამოწმებლად.

შენიშვნა. თავ-და-პირველად, როდე-

საც დაიწყებენ ამ წესდების ასრულებაში მოყვანას ყველა განკარგულებანი, რომელნიცა შეეხებიან ამორჩევის მოხდენას, სიების შემოწმებას და შემდეგის საქმეების ასრულებას, უნდა მოხდნენ იმ კამმისიისაგან, რომელიც შესდგება ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ დანიშნულის წევრებისაგან. ამ წევრებს ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ დანიშნავს გუბერნატორის წარდგენით.

§ 80. ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ კრებამ მხოლოდ წარმომადგენლები უნდა ამოარჩიოს და სხვა საქმეს არაფერს არ უნდა შეეხოს.

§ 81. ᲘᲡ პირები, რომელნიც რაიმე უწესოებას მოახდენენ კრებაში, უნდა დაისაჯონ въ ст. 1435 და 1437 улож. о наказ. изд. 1866 года.

§ 82. ᲗᲣ ვინმე სიყალბე აღმოაჩინა, იმას უნდა გადახდეს შემდეგის კანონის ძალით, въ ст. 1416 და 1425 улож. о наказ. изд. 1866 года.

ᲙᲠᲔᲑᲘᲡ თავს მჯდომარე ამორჩევის დაწყების წინათ წაუკითხავს ამ კანონს, რომ ამომრჩეველებმა იცოდნენ ეს კანონი და არა ვითარი წინააღმდეგი საქმე ამ კანონისა არ ჩაიდინონ.

§ 83. ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ თხუთმეტის დღის განმავლობაში უნდა გათავდნენ; ამ ვადის გაგრძელება კიდევ რამოდენსამე დღეს შეუძლიან მხოლოდ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ, თუ რომ იმან ნახა ეს გაგრძელება მიუცილებელ საჭიროებად.

მეორე განყოფილება

ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ კრება ამოსარჩევლად.

§ 84. ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ კრებას მხოლოდ მაშინ ექნება ნამდვილი ძალა, როდესაც ერთი მესამედი ამორჩეულებისა მაინც იმყოფება ამ კრებაში.

§ 85. ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ თვითოეულს განკერძოვებულს კრებაში უნდა თავ-მჯდომარედეს წოდების მეუფროსე, რომელიც იმავე მოვალეობას უნდა ასრულებდეს, როგორც საზოგადოების კრებაში თავს-მჯდომარეს აქვს მინიჭებული. ᲗᲣ პირველი ორის, ან სამის წოდების ამომრჩეველნი შეადგენენ კრებას ერთად ამორჩევისათვის, მაშინ თავს მჯდომარედ პირველს შემთხვევაში გაჰგზავნიან ერთს რომელსამე წევრს განკარგულების მომხდენის მმართველობისას, და მეორეს შემთხვევაში ამორჩეულების შეერთებულს საზოგადო კრებაში, თავს-მჯდომარედ უნდა იქნეს ქალაქის თავი.

§ 86. ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲨᲘ ამორჩევა იდუმალის კენჭის ჩაგდებით უნდა მოხდეს ხოლმე, იმ წესისამებრ, რომელიც დადებულია ამ ამორჩევის ასასრულებლად.

§ 87. ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ყოველს კრებაში უნდა იმყოფებოდეს მთავრობისგან დანიშნული წევრი, რომელიც ახსნის რომელიმე სჯულის მუხლებს, თუ ვინიცობაა რაიმე ეჭვი აღიძრა კრებაში; აგრეთვე ამ მთავრობის წევრმა უნდა თვალ-ყური ადევნოს კრებების მოქმედებას. ᲐᲛ პირს ექნება კრებაში პროკურორის ადგილი და გამოუცხადებს კრებას თავის აზრს მხოლოდ კრების თავს-მჯდომარის შესახებ საქმეზედ. ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ შემდეგის კანონისა ст. 114 уст. о служ. по выбор. св. зак., т. III изд. 1857 года.

§ 88. ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ და სხვა საზოგადო თანამდებობის პირების სიებს წარუდგენენ განკარგულების მომხდენს ქალაქის მმართველობას. ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ სიებს ქალაქის მმართველობა თავის დროზედ მისცემს საქმეში, როგორც § 54 მოხსენებულია; და სხვა სიებს კი წარუდგენს გუბერნატორს, რომ იმან მოახდინოს ამ სიების შესახებ თავისი განკარგულება.

მესამე განყოფილება

ᲙᲠᲔᲑᲐᲜᲘ რომელიმე განკერძოვებულის წოდების ამორჩევისთვის.

§ 89. ᲙᲔᲠᲫᲝᲝᲑᲘᲗᲜᲘ კრებანი უნდა შედგნენ: 1) დროებით ქალაქზედ მიწერილის უცხო ვაჭრობისგან, თანადამსწრეების ამოსარჩევლად წოდების გასამგებოებისთვის (§§ 41 და 67) და 2) ადგილობრივის მოვაჭრეებისგან, რომელნიც ერთგვარათ ვაჭრობენ მაედნებზედ და ბაზრებში; ამ უკანასკნელმა მოვაჭრეებმა უნდა ამოირჩიონ ვაჭრობის და ბაზრის ზედამხედველები (§ 65).

§ 90 ᲧᲕᲔᲚᲐ კერძოობითნი კრებანი დაინიშნებიან განკარგულების მომხდენის ქალაქის მმართველობისგან და ამ კრებებისათვის იგივე კანონნი უნდა იხმარებოდნენ, რომელნიც ქალაქის საზოგადო კრებებისთვის არიან დაწესებულნი.

თავი მეოთხე.

§ 91. ᲘᲡ პირები, რომელნიც მსახურებენ ქალაქის საზოგადო მმართველობაში ᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, სარგებლობენ კიდევ უაღრესობითა, გარდა იმ სიმართლისა, რომელიც მიუნიჭებია იმას საქალაქო ამორჩევით სჯულში (въ ст. 426—438 уст. о служ. по выбор. свод. зак. т. III изд., 1857 г.)

§ 92. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ თავი ირიცხება სამსახურით VI კლასში; ქალაქის საზოგადო კრების სეკრეტარი—VII კლასში; განკარგულების მომხდენის მმართველობის წევრნი, ქალაქის მᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ წევრნი, ᲡᲐᲙᲕᲐᲠᲢᲘᲠᲝ კამმისიის დეპუტატები და წოდების მეუფროსენი ირიცხებიან სამსახურით VII კლასში; განკარგულების მომხდენის მმართველობის მზრუნველობის და საკვარტირო კამმისიის სეკრეტრები, ბუხგალტრები და საუკეთო კამერის მმართველი ირიცხებიან VIII კლასში; ქალაქის კამმისრები, ვაჭრობის ზედამხედველი, კეთილ სინიდისიანნი მოწმენი, რომელნიც ესწრებიან ქონების საზოგადოთ დაფასების დროს. ᲜᲐᲯᲘᲪᲜᲘ დამფასებელნი, და მეაუქციონენი ჩაითვლებიან IX კლასში. ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ზედამხედველები—XIV კლასში.

§ 94. ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗᲡ მოსამსახურე პირებს, რომელნიც ქალაქის სამსახურში იმყოფებიან, მიეცემათ ხოლმე ჯამაგირი ქალაქის შემოსავლიდამ, ცალკე შტატით.

§ 95. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ საზოგადო კრება დაუნიშავს ჯამაგირს სხვა მოსამსახურე პირებსაც, რომელნიც ამოურჩევიათ, თუ რომ ქალაქის შტატი ამას საჭიროდ დაინახავს და თუ ქალაქის შემოსავალი მისცემს ნებას.

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲖᲔᲓ საკუთარის **ᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ** ხელით მოწერილია:

„ᲒᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲐᲓ“.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ 1866 წელს, 11 აგვისტოს.

ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ გადაწყვეტილება.

24 სეკტემბერს გამოაცხადეს ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ გადაწყვეტილება ოც-და ოთხმეტის გვამის შესახებ, რომელნიც ჰპოვეს დამნაშავეთ სახელმწიფო წყობილების პირქვე-დამხობაში. ᲐᲘ, სახელი იმ გვამებისა: კერძო მასწავლებელი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲮᲣᲓᲘᲐᲙᲝᲕᲘ, შთამომავლობითის საპატიო მოქალაქის შვილი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲣᲢᲘᲜᲘ; აზნაურნი: ᲞᲔᲢᲠᲔ ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲢᲠᲐᲜᲓᲔᲜᲘ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲣᲠᲐᲡᲝᲕᲘ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲔ ᲖᲐᲒᲘᲑᲐᲚᲝᲕᲘ; განთავისუფლებული შინა მსახური ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲝᲢᲙᲝᲕᲘ; გუბერნსკი სეკრატარი ᲕᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕᲘ ᲨᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘ; მოსკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი ᲞᲔᲢᲠᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘ; მეათე კლასსის ჩინოვნიკი ᲝᲠᲔᲡᲢᲘ ᲛᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ: სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა აზნაური ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, პეტროვის სამეურნეო და სატყეო აკადემიის მსმენელი მღვდლის შვილი ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔ ᲚᲘᲞᲙᲘᲜᲘ; აზნაურები: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ და ᲙᲝᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲙᲘᲩᲘᲜᲘ; პეტროვის სამეურნეო და სატყეო აკადემიის მსმენელი სასულიერო წოდების შთამომაველობისა ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲕᲝᲡᲙᲠᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘ; სახელმწიფო გლეხები ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔ ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘ; სასულიერო წოდების შთამომავალი ᲑᲐᲡᲘᲚ ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲡᲙᲘ, მღვდლის შვილი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲡᲙᲘ, თავადი ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲝᲕᲘ; ნამდვილი სტუდენტი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲚᲘᲙᲝᲕᲘ; აზნაური ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲙᲣᲢᲘᲔᲕᲘ; მოსკოვის მეოთხე გიმნაზიის მასწავლებელი ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲙᲡᲘ, მოსკოვის მესამე გიმნაზიის მასწავლებელი კოლეჟსკი სოვეტნიკი ᲑᲝᲚᲔᲡᲚᲐᲕᲘ ᲢᲠᲣᲡᲝᲕᲘ, პროვიზორი ᲐᲓᲝᲚᲤᲘ ᲚᲐᲣᲜᲚᲐᲣᲖᲔᲜᲘ, მსმენელი პეტროვის სამეურნეო და სატყეო აკადემიისა აზნაური ᲐᲠᲞᲐᲚᲝᲜᲘ ᲞᲝᲚᲣᲛᲝᲠᲓᲕᲘᲜᲝᲕᲘ, სახელმწიფო მოხელეს შვილი ᲑᲝᲚᲔᲡᲚᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲢᲐᲙᲝᲕᲘ, ᲑᲠᲝᲜᲘᲪᲙᲘᲡ უეზდის სასწავლებლის წინანდელი მასწავლებელი ტიტულიარნი სოვეტნიკის შვილი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲝᲜᲘ, აზნაური ᲞᲐᲕᲚᲔ ᲛᲐᲔᲕᲡᲙᲘ, აზნაური ᲛᲘᲙᲢᲝᲠ ᲨᲔᲝᲓᲝᲡᲘᲔᲕᲘ, მიროვის პოსრედნიკი აზნაური ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲑᲘᲑᲘᲙᲝᲕᲘ, ᲙᲝᲖᲔᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲑᲐᲡᲐᲛᲒᲔᲑᲝᲡ მდივანი ᲚᲔᲕᲐᲜᲘ ᲝᲑᲝᲚᲣᲜᲡᲙᲘ; პეტერბურგის უნივერსიტეტის უწინდელი სტუდენტი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲡᲙᲘ, ᲘᲣᲖᲜᲝᲕᲘᲡ უბრალო მოქალაქის შვილი ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲔᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ და პეტროვის სამეურნეო და სატყეო აკადემიის მსმენელი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘ.

ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲐ დადგა:

1) რადგანაც ᲘᲣᲢᲘᲜᲘ ერია ხელმწიფის მოკვლის განზრახვაში, და რადგანაც ის იყო დამაფუძნებელი იმ საზოგადოებისა, რომელსაც უნდა შეეცვალა სახელმწიფოს დაწყობილება ეკონომიურად და არ გამოუცხადა ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲖᲝᲕᲘᲡ განზრახვა მთავრობას, ამისთვის იმას ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და ჩამოიხჩობა.

2) რადგანაც ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘ, ᲡᲢᲠᲐᲜᲓᲔᲜᲘ და ᲘᲣᲠᲐᲡᲝᲕᲘ ერივნენ იმ აზრში, რომელიც არ ჩევდა სახელმწიფო დაწყობილების პირქვე-დამხობას და ხელმწიფის სიკვდილს, ამისთვის ისინიც უნდა მოკვდინებით დაესაჯათ, მაგრამ, რადგანაც ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲛᲐ და ᲡᲢᲠᲐᲜᲓᲔᲜᲛᲐ დაუშალეს ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲖᲝᲕᲘᲡ ხელმწიფის სიკვდილი პირველს იმის წასვლის დროს პეტერბურგს და ᲘᲣᲠᲐᲡᲝᲕᲘ კიდეც წინააღმდეგი გაუხდა ხელმწიფის სიკვდილზედ ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲖᲝᲕᲘᲡᲐ, ამისთვის ამ სამივეს უნდა ჩამოერთვას ყველა ღირსება და უნდა გაიგზავნონ ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲨᲘ მადნის სათხრელად, ᲘᲣᲠᲐᲡᲝᲕᲘ და ᲡᲢᲠᲐᲜᲓᲔᲜᲘ უვადოთ, ხოლო ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘ, რადგანაც მცირე წლოვანია, ოცის წლით.

3) რადგანაც ᲖᲐᲒᲘᲑᲐᲚᲝᲕᲘ, ᲨᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘ და ᲛᲝᲢᲙᲝᲕᲘ იყვნენ წევრნი იმ საზოგადოებისა, რომელსაც უნდა გადაებრუნებინა სახელმწიფო დაწყობილება ხელმწიფის მოკვლით, ამისთვის იმათ ჩამოერთმევათ ყოველი ღირსება და გაიგზავნებიან კატორგაში—ᲖᲐᲒᲘᲑᲐᲚᲝᲕᲘ-12 წლის ვადით და ᲛᲝᲢᲙᲝᲕᲘ—8 წლით.

4) რადგანაც ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘ იყო წევრი სახელმწიფოს დაწყობილების გადამბრუნებლის საზოგადოებისა და რადგანაც მისცა ᲤᲔᲝᲓᲝᲡᲘᲔᲕᲡ საშუალება მამის მოსაკვლელად, რომ იმისი სიმდიდრე მოეხმარნა საზოგადო განზრახვის ასასრულებლად, ამისთვის იმას ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და ჩამოიხჩობა.

5) რადგანაც ᲮᲣᲓᲘᲐᲙᲝᲕᲘ ვერ დაუმტკიცეს ცოდნა ᲙᲐᲠᲐᲙᲝᲖᲝᲕᲘᲡ განზრახვისა ხელმწიფე იმპერატორის მოკვლაზედ, მაგრამ, რადგანაც შეამჩნიეს, რომ იმან იცოდა რევოლუციურის საზოგადოების განზრახვა, ამისთვის იმას ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და იმას ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲡ განშორებულს მხარეში დაასახლებენ.

6) რადგანაც მალინინი, დიმიტრი ივანოვი, ლიპკინი და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ იყვნენ წევრნი ზემოხსენებულის საზოგადოებისა, და ამის გამო თუმც ისინი სჯულით ღირსების ჩამორთმევის და კატორგის ღირსნი იყვნენ, მაგრამ, რადგანაც შეკრებილებაში საზოგადოების განკარგულების წინააღმდეგნი იყვნენ ყოველთვის და, რადგანაც ამის გარდა ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ და ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ გატყდნენ თავის განზრახვაში და ამასთანავე ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ და ᲚᲘᲞᲙᲘᲜᲘ არიან ცხრამეტის წლისანი და ჯერ სრულ-წლოვანებაში არ შესულან, ამისთვის იმათ ჩამოერთმევათ ყოველი ღირსება და გაიგზავნებიან ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲨᲘ დასასახლებლად.

7) რადგანაც ᲤᲔᲝᲓᲝᲡᲘᲔᲕᲛᲐ ყოველის ფერი მოამზადა, რომ მამა მოეწამლა, მაგრამ, რადგანაც იმან ვერ ასრულა ეს განზრახვა, შეპყრობის გამო, ამისთვის იმას ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და გაიგზავნება ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲨᲘ დასასახლებლად და იქ მოსანანებლად.

8) რადგანაც მარკსი მოეხმარა კერძოობითს პირის მოკვლას, ამისთვის იმას ჩამოერთმევა ყოველი ღირსება და გაიგზავნება ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲨᲘ დასასახლებლად.

9) მაევსკის, როგორც დამფარველს სახელმწიფო დამნაშავეებისას, რომელნიც უნდა გაგზავნილიყვნენ კატორგაში, ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება და გაიგზავნება ᲡᲘᲑᲘᲠᲘᲨᲘ დასასახლებლად.

10) რადგანაც შესტაკოვმა დაფარა სახელმწიფო დამნაშავე, რომელიც კატორგაში იყო გასაგზავნელი, მაგრამ, რადგანაც გულის-წმინდით გამოტყდა, ამისთვის იმას უნდა ჩამოერთვას ყოველივე სიმართლე, რომელიც თვით მოუპოვებია და უნდა გაიგზავნოს ᲢᲝᲛᲡᲙᲘᲡ ანუ ᲢᲝᲑᲝᲚᲡᲙᲘᲡ დასასახლებლად.

11) რადგანაც ᲚᲐᲣᲜᲚᲐᲣᲖᲔᲜᲛᲐ იცოდა საიდუმლო საზოგადოების არსება, მაგრამ არ იცოდა იმისი განზრახვა და რადგანაც უკანონოდ გადასცა კერძო პირს საწამლავი, ამისთვის ის ჩაისმება ციხეში რვა თვით და აღკრძალება შემდეგში საწამლაღის და სხვა ამგვარის წვრიმალეულობის გასყიდვა.

12) ᲙᲘᲩᲘᲜᲘᲡ, ᲡᲝᲑᲚᲝᲔᲕᲘᲡ, ᲡᲔᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ, ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡ, ᲕᲝᲡᲙᲠᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘᲡ, ᲙᲣᲢᲘᲔᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲣᲛᲝᲠᲓᲕᲘᲜᲝᲕᲘᲡ, ᲢᲠᲣᲡᲝᲕᲘᲡ და თავადს ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲝᲕᲘᲡ არც ერთს ნამდვილათ არ ცოდნია საზოგადოების განზრახვა, მაგრამ იმის კრებებში კი ხშირად ყოფილან, ამისთვის ისინი უნდა ჩასვან რვა თვით ციხეში იმ დროს ჩათვლითაც, რომელიც აქამომდე გაატარეს ციხეში.

13) რადგანაც ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲝᲜᲛᲐ მთავრობას არ აცნობა, რომ ᲘᲣᲠᲘᲡᲝᲕᲘ ჰფარაედა სახელმწიფო დამნაშავეს, ამისთვის ის უნდა ჩასვან ექვსის თვით ციხეში, იმ დროს ჩათვლით, რომელიც აქამომდე გაუტარებია ციხეში.

14) ᲛᲐᲚᲘᲙᲝᲕᲘ, ᲑᲘᲑᲘᲙᲝᲕᲘ, ᲝᲑᲝᲚᲔᲜᲡᲙᲘ და ᲜᲘᲙᲝᲚᲡᲙᲘ უნდა განთავისუფლდნენ სასჯელისგან, რადგან ისინი საზოგადოებას არ ეკუთვნიან; მაგრამ, რადგანაც პირველი სამი პირი გამოტეხეს სახელმწიფო დამნაშავეს ᲩᲔᲠᲜᲘᲨᲔᲕᲡᲙᲘᲡ განთავისუფლების განზრახვაში და მეოთხე ᲡᲔᲠᲜᲝ-ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲘᲩᲘᲡ განთავისუფლების სურვილში, ამისთვის იმათ უნდა შეაგონონ ამ გვარის ფიქრის უწესობა; აგრეთვე ზემოხსენებულნი პირნი უნდა წარუდგნენ შინა-საქმის მინისტრს, რომელიც აღასრულებს თავის განკარგულებას ამ პირების შესახებ.

15) ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲝᲕᲘ უნდა განთავისუფლონ სასჯელისგან, რადგანაც ის ამ საქმეში არრევია და შეაგონონ, რომ შემდეგში უკეთ მოიქცეს და არ აღძრას მთავრობის იჭვნეულობა თავის ყოფაქცევით. შემდეგ ამისა ის უნდა დარჩეს პოლიციის მხედველობის ქვეშ.

16) ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘᲡ დასჯათ უნდა ჩაეთვალოს ის, რომ აქამომდე ციხეში იყო, რადგანაც ის დადიოდა ურთიერთის შემწეობის საზოგადოებაში, რომელიც მთავრობისგან არ იყო ნებადართული. შემდეგ ამისა ის უნდა გამართლდეს სახელმწიფო დანაშაულობაში.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲐᲜᲓᲚᲘᲐ. მიტინგი ᲚᲘᲓᲨᲘ. ᲑᲠᲐᲘᲢᲘᲡ სიტყვა. ᲘᲛ დემონსტრაციების გარდა, რომელნიც იყვნენ რეფორმის შესახებ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲓᲐᲛᲨᲘ და მანჩესტერში, 8 ოკტომბერს იყო კიდევ დემონსტრაცია ᲚᲘᲓᲨᲘ. ᲖᲝᲒᲘ ამბობს, რომ ამ მიტინგზე იყო 80 ათასი კაცი, ზოგი კი 200 ათასი. რაც უნდა იყოს, ეს მიტინგი ამტკიცებს, რომ ᲕᲔᲡᲢ-ᲠᲘᲓᲘᲜᲙᲘᲡ მუშა ხალხიც ძალიანა ზრუნავს რეფორმისთვის. ᲐᲛ მიტინგზედ იყვნენ თითქმის მარტო მუშა ხალხი და

ესხვა ლიგების (1) წევრები. რადგანაც რკინის გზების სამმართველოებმა არ მიიღეს არაფერი მონაწილოება და არ დაუკლეს ფასი წასასვლელად მიტინგზე, ამისთვისაც ბევრი ქვეითი წავიდა იქა და ზოგს კარგა დიდი მანძილის გავლაც მოუნდათ. ხუთი ტრიბუნებიდგან წარმოსთქვეს თითქმის ერთნაირი რეზოლიუციები: (2) (1) კრება გამოაცხადებს პროტესტს იმ აზრზედ, რომელიც გამოსთქვა პარლამენტმა უკანასკნელს სესსიის დროს, ვითომც მუშა ხალხი იყოს გამყიდველი, უმეცარი, უყვარდეს ლოთობა და არა სურდეს თავისი მდგმოიარობის გამოცვლა. კრება რაცხს თავის მოვალეობათ დაიცვას ის უფლება, რომ ყველა მოქალაქესა ჰქონდეს ხმა, ვინც ერთს ალაგას სცხოვრობს. 2) კრება გამოუცხადებს მადლობას ბლადსტონს, ბრაიტს და მილლს. ბრაიტს გამოუცხადებს მადლობას უმეტესათ იმიტომ, რომ ის ძალიან მეცადინეობს სახალხო საქმეზედ ქვემო პალატაში და ამიტომაც იმას მიეცემა უმეტესი წყმუნება. 3) კრება გამოუცხადებს თავის უკმაყოფილებას ქვემო პალატის წევრებს, რომლებმაც უარი სთქვეს და არ შეეწივნენ მუშა ხალხს, იმ მეცადინეობაში, რომ მიიღოს კანონიერი უფლება ხალხის წარმომადგენლების ამორჩევაში; ამ კრების წევრები ვალათ-ადაცხვენ, იმ წევრების გვარათ, რომლებმაც გამართეს კრება ლონდონში, ბირმინგამში და მანჩესტერში, შეეწივნენ, რომ საჩქაროთ გათავონ რეფორმის საქმე, დაიცვან საზოგადო ბრიგი და საზოგადო სიმშვიდე და აგრეთვე ხალხი დაკმაყოფილონ.

ამ მიტინგის შემდეგ საღამოზედ გაიმართა ესხვა მიტინგი ქალაქის სასამართლოს (რატუშა) სახლში, სადაც დაესწრნენ მრავალნი გამოჩენილნი პირნი ლიბერალების მხრიდგან, რომელნიც ალაგობრივ მყოფელნი, აგრეთვე ბესტ-რიდინკიდგან მოსულნი. ამათში ბრაიტიც ერია. ამ მიტინგშიაც კრებამ დააწესა ის რეზოლიუცია, რომელიც იყო დაწესებული პირველ მიტინგში. ბრაიტმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, მაგრამ ახალი კი არა იყორა იმ სიტყვაში. ორატორმა დაუმატა, რომ თუმცა მე ემდურებიან იმაზედ, რომ ჩემს სიტყვებში ბულ ერთსავე იგივეს ვამიორეფო, მაგრამ ანდახან შემთხვევა მაგას მოითხოვსო. რაც უნდა ადვილი ჭეშმარიტება იყოსო, საჭიროა ბირათ მოვიხსენიოთო, რომ ბოლოს იმან დასძლიოსო და გაძლიერდესო. ის საგანი, რომელზედაც ჩვენა ვლაპარაკობთ ძალიან უბრალო საქმეა: რამდენიმე საუკუნე მიდის, რაც ანგლიაში არის წარმომადგენლები სახელმართებლობისა. ურთიერთი ხალხის თავისუფლების იმედი ანგლიაში არის დამყარებული ქვემო პალატაზედ. ახლანდელი მთავრობა ამ მდგმოიარობით, რომელშიაც ახლა არის, ვერ შეუძლიან მისცეს ხალხს თავისუფლება; ლორდების პალატას, თავის შედგენილობით, ვერ შეუძლიან იყოს ხალხის წარმომადგენელი; ამიტომაც, თუ ანგლიას სურს რომ იყოს ნამდვილი თავისუფალი ქვეყანა, უნდა მიაქციოს ყველი ღონის ძიება მარტო ქვემო პალატას, რომელსაც შეუძლიან იყოს ხალხის წარმომადგენლათ. ამ მიტინგზედ დამსწრებლებმა რამდენჯერმე არ დააცალეს ბრაიტს დაესრულებინა თავისი სიტყვა, ხმა მაღლივ გამოაცხადებდნენ ხოლმე თავიანთ კმაყოფილებას მის სიტყვებზედ. დაბოლოვების დროს ბრაიტმა უჩვენა, რომ ახლანდელი დრო ძალიან შეეწევა ხალხების თავისუფლების დამყარებასაო, უმეტესათ ამერიკაშიაო, სადაც მილიონი პირნი აძლევენ ხმასაო იმ აზრზე: თუ ნეგრებს უნდა მიეცესთ ის უფლებაო, რაც უფლება ქვეთო ამერიკელებსა.

(1) ლიგა ფრანციცული სიტყვაა, ნიშნავს კავშირს, საზოგადოებას.

(2) რეზოლიუცია ლათინური სიტყვაა, ნიშნავს დაწყვეტილებას.

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ. სოციალურის სწავლის კონგრესმა აქ მოახდინა მეორე ყრილობა. სახალხოურთიერთის სჯულის განყოფილებაში ორატორები იმას ცდილობდნენ, რომ გაერკვიათ მეტროპოლიის მოვალეობა კალონიების დაბალ ტომებთადმი. უ. ფოულერი ამტკიცებდა, რომ ხსენებულის ტომების მიწებს ძალით არ უნდა იჭერდნენო, და თუ ეს მიწები საჭიროა კოლონიზაციისთვის, იმ მოპოებაზედ ურთიერთი თანახმობა უნდა იყოსო.

ორატორმა ქებით მოიხსენა გონიერული და მართლ-მსაჯული მფარველობა, რომელსაც ფრანცუზის მმართებლობა უჩვენებს ალჟირიაში არაბებს და ამასთანავე სურვილი გამოაცხადა, რომ ანგლიის მმართებლობამ დანიშნოს ჩინოვნიკები კოლონისტების ინტერესის დასაცველათ.

მეორეს განყოფილებაში დოკტორმა ლანკესტერმა უჩვენა მრავალი გამოძიება საქმეების გამო, რომელნიც ყმაწვილების დახოცას შეეხებიან. ამ გამოძიებაებში ის იყო პრეზიდენტათ. იმის სიტყვით ყმაწვილების დახოცა გასაოცრათ არის მხარეში გავრცელებული. იმან გამოიანგარიშა, რომ ანგლიაში და ვალლის სამთავროში ყოველ წლივ ათასზედ ნაკლები ყმაწვილი არ მოიკვლისო. ამ დანაშაულობის შესასუსტებლათ იმან ისურვა, რომ გამოიცეს სჯული და ამ სჯულმა ვალათ-დასდოს მამებს თავიანთის უკანონო შვილების გამოკვება. ამ-გვარის სჯულით დაცულ-იქნებოდა არათუ სიცოცხლე დიდ-ძალის ყმაწვილებისა, მრავალი რიცხვის დედებისაც. ამ აზრზედ დადგა უ. საფფორდიც. სერ ირელეი ვილმოტმა ისურვა, რომ სჯული სჯიდეს მაცდურთ, რადგანაც ესენი, იმის ფიქრით, არიან მიზეზნი უსაძაგელესის და ღვთის წინააღმდეგის დანაშაულობისა. დოქტორი უოკერი იმედოულობს, რომ მოვაო ის დრო, როდესაც მაცთურნი ყოველის პატიოსნის საზოგადოებისაგან გამოირიცხებიანო. უ. ბენრი სელლიმმა წარმოსთქვა სურვილი, რომ სჯული ვალათ სდებდეს მაცთურებს ჯვარის წერასა თავიანთს მსხვერპლებზედ, მაგრამ ამისი წინააღმდეგი აზრი გამოაცხადა უ. ჩამბერგმა, რომელიც ამ გვარს ღონისძიებაში ჰხედავს საშუალობას, რომელიც შეიძლება უქრმო ქალებმა ბოროტათ მოიხმაროან.

სახალხო სიმრთელის განყოფილებამ მიაქცია ყურადღება მდინარეების ამომსებაზედ ფაბრიკებისაგან, რომელნიც იქ უსაჭირო დანაშთენებს ჰყრიან, აგრეთვე ქალაქების მახლობლობის მიზეზის გამო, საიდამაც მდინარეებში ჩადის უწმინდურება. ამ საგანზედ ილაპარაკეს სხვა და სხვა ორატორებმა: ისინი დაადგნენ იმ აზრს, რომ მდინარეების გაწმენდა დიდი კეთილ-მოქმედი საქმე იქნებოდა ხალხის სიმრთელისთვის.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ბერლინი, 30 სეკტემბერს (15 ოკტომბერს). პოლშელები დეპუტათ-პალატის წევრნი აპიროობენ პეტიციების წადგენას მეორე შეყრილობის დროს. ისინი სხვათა შორის შეიტანენ პროტესტს იმაზედ, რომ დასავლეთის პრუსსია არ ჩაითვალოს ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირში. სანაციონალო პოლშის პარტიის მოწინამძღვრე გულ-მხურვალედ ცდილობს, რომ ხელი მოაწერინოს ამ თხოვნაზედ სხვა და სხვა პირებს დასავლეთს პრუსსიაში, და ამით უნდათ დაამტკიცონ, რომ ეს მხარეც პოლშას ეკუთვნის.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. უკანასკნელმა დღეებმა ავსტრიის მფლობელობისამ ვერონაში აღძრა მღელვარება და უწესოება. მოკვდა რამდენიმე კაცი ხალხში და რამდენიმე ავსტრიის სალდათი. უწესოება დაიწყო 5 ოკტომბერს საღამოთი. ვერონელები თავისის მხრით ჰკიცხავდნენ ავსტრიის გერბსა, ავსტრიელები თავისის მხრით იტალიის გერბზედ იცინოდნენ. ხალხი უფრო იმითი აღელდა, რომ ავსტრიის სალდათები მიკტორ-ემმანუელს უშვერათ იხსენებდნენ. დაიჭირეს ტუსაღები და მეორეს დღეს ავსტრიის ღენერალმა, ვერონის ჯარების უფროსმა, ქალაქს საომარი მდგომარეობა გამოუცხადა. ფიქრობენ, ვითომც ეს უწესოება სამღვდლოს პარტიისაგან იყოს აღძრული, და ვითომც ამ პარტიის სურვილი ის ყოფილიყოს, რომ ორივე მხარე შესჯახებიყვნენ ერთმანეთს. საშიშარი ის იყო, რომ ამ გვარი უწესოება ვენეციაში და მანტუაშიაც არ მოხდარიყო. მაგრამ არაფერი მოხდა, რადგანაც დროით იქაურმა მმართებლობამ მიიღო კეთილ-გონიერული ღონის ძიება. ამ შემთხვევაში ნამეტნავათ აქებენ ფელდცეიხმეისტერს ფონ-ალემანს: ამან ნება მისცა იტალიის გერბის და დროშის გაშლისთვის, და იმასთანავე ხალხს მოსთხოვა, რომ ავსტრიის გერბსაც პატივისცემით უყურონ.

9-ს ოკტომბერს ვენეციის მაზრის ციხეებიდამ ავსტრიის ჯარების გამოსვლა უნდა დაწყობილიყო. ბორგოფორტეს სიმაგრეებიდამ ავსტრიის ჯარები გამოვიდა სამის დღის წინათ და არა მოხდარა რა ურიგობა; 10 ოკტომბერს იტალიის ჯარი უნდა შესულიყო მანტუაში. საზოგადო ამორჩევა მოხდება 21 ოკტომბერს. დღესასწაულების გამო, რომელიც ამ შემთხვევისაგამო უნდა იყოს, მმართებლობის მხრით იქნება განკარგულება.

ვენის გაზეთში Presse-ში სწერენ ვენეციიდამ, 24 სეკტემბერს, (6 ოკტომბერს): „დღეინდლიდამ აქაური ნაციონალური მცველები შეუდგნენ თავის თანამდებობის აღსრულებას; გუშინ დაურიგეს იმათ 2 ათასი თოფი.

ვენეციის სინდიკათ დაინიშნა გრაფი ჯუსტინიანი, ბუნებით ვენეციელი, რომელმაც 1859 წელ. დასტოვა თავისი მამული. ის იყო ავეურის გულითადი მეგობარი და ვენეციის კომიტეტის თავი. იმას დღე-დღე მოელიან და დიდის ამბით დაუხვდებიან. ბევრნი შესანიშნანი ვენეციის ემიგრანტები დაბრუნდნენ აქ, რას-წამ ავსტრიასა და იტალიას შუა შერიგება მოხდა. ვენეცია დღითი-დღე ცოცხლდება. აქ მობრუნდნენ ბევრნი გარიბალდიელები. მომავალის დღესასწაულებისთვის დიდი მზადებაა. ფენიჩეს გარდა სხვა თიატრებიც გაიღებიან. ამის გარდა იქნება გემების შეჯიბრება, (რომელი უფრო წინ გაუსწრებს), ჰაერში სეირნობა და სხვა მრავალი სახალხო სადღესასწაულონი. უცხოქვეყნელები მრავალნი მოვიდნენ და მრავალმა გამოაცხადეს მოსვლის სურვილი, ისე რომ სასტუმროებში აღარ არის ადგილი იმათთვის და საქალაქო სამმართველომ სთხოვა ყველას, ვისაც კი სახლი აქვს, რომ გააქირავონ ოთახები სხვა მხრიდგან მოსულებისთვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ. ნაციონალურს გაზეთში სწერენ, 25 სეკტემბერს, ნიუ-იორკიდამ: ორივე მხარე ამზადებს კანდიდატებს აღმორჩევისთვის დიდის ენერგიით და თავ-გადადებით. ინდიანში, ოგიოში და პენსილვანიაში აღმორჩევა მოხდება სამშაბათს ოკტომბრის მეორე კვირას. როგორცა სჩანს, აღმორჩევის დროს ძალიან გაცხარებული ბრძოლა იქნება. სამხრეთის შტატებში სხვა და სხვა ალაგას კონსერვატორები უფრო ძლიერნი არიან. ამათ დაამარცხეს რადიკალები სპრინღფილდში (ილლინოისში). პიტსბურგში (პენსილვანიის შტატში) შესდგა რადიკალების კონვენტი არმიის და ფლოტის სალდათებიდგან. ამ კონვენტში დაესწრნენ ბრავალნი პირნი და ყველანი იყვნენ დიდათ აღტაცებულნი. ამ კონვენტის შესანიშნავი წევრნი იყვნენ: ღენერალი ბორნსაიდი, ბოტლერი, ბარნუმი, ბარლოუ და ლოგანი. მოხსენებულის პირების გარდა ამ კონვენტში მიიღეს მონაწილეობა ღენერალმა გოვარდმა, კარლმა შურცმა, ბერტვიდალმა და დეევენსმა. ამათ გარდა აჰ კონვენტში დაესწრნენ პრეზიდენტის მომხრენი: ღენერალი შერმანი, ტომასი, შოფილდი, ბლერი, სლოვუმი, დავისი, კოსტერი, ავერილლი, ღენკოკი, ვრაიტი, სეიკსი, ბოლდი, სმიტი, უარრენი, რუსსო და დიქსი. ბრანტს და შერიდანს როგორც კონსერვატორები, ისე რადიკალები რაცხვენ თავიანთ მომხრეთ. კონსერვატორები რაცხვენ თავის თანა-მოზიარეთ ბრანტს იმისთვის, რომ ის ჩქარ-ჩქარა ნახავს ხოლმე პრეზიდენტ'ს და იმისი დიდი მეგულითადეა. ერთი კორრესპონდენტი New-York-Herald-ი ამტკიცებს, რომ ვითომც პრეზიდენტი ჩქარა გამოსცემს პროკლამაციას, რომლითაც ის აუწყებს სამხრეთის შტატებს, რომ ცელილება, რომელიც შეიტანა კონგრესმა კონსტიტუციაში, მიიღება. კაროლინის სჯულის-დამდებმა კრებამ დააწესა ბევრი რამ შესანიშნავი ნეგრების შესახებ. განთავისუფლებულებს ნება აქვთ ვაჭრობისა, შეუძლიანთ საჩივარი სასამართლოში შეიტანონ, შეუძლიანთ იყვნენ მოწმებათ, ნება აქვთ შეიძინონ შესყიდვით მამულ-დედული და მიიღონ მემკვიდრეობით. ერთის სიტყვით, ნეგრები სიმართლით გაუთანასწორეს თეთრებს. აგრეთვე დააწესეს, რომ ერთ გვარად დაისაჯნენ დანაშაულობისთვის როგორც თეთრები, ისე ნეგრებიც და ამაში არა ვითარი გარჩევა არ იყოს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ,

პეტერბურგში მიღებული.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ, 1 (13) ოკტომბერს. დღეს სირიდამ იწერებიან, რომ ათინის სანაციონალო გვარდიის მოწინამძღვრემ, პოლკოვნიკმა ქორონეოსმა და ამასთან ორმოცმა აფიცერმა დასტოვეს სამსახური და როგორც იყო შეიპარნენ ქანდიის კუნძულზედ. აქვე სირიდამ მოიტანეს წამალი 2 ათასის პატარა ბოჩკებით.

საბერძნეთის ცეცხლის-გემი, რომელიც დღეს ქონსტანტინოპოლში მოვიდა სირიდამ, ფრთხილათ დაათვარიელეს ოსმალოს მოხელეებმა. პასსაჟირებს დამოჟნამ გაუშინჯა თავისი ბარგი.

— 3 (15) ოკტომბერს. დღეს ბუხარესტში გაგზავნეს წიგნი ქონსტანტინოპოლიდამ, რომელშიაც პორტა აღიარებს რუმინიის მთავრად პრინცს ქარლს ლოღენცოლერნისას. ყოველი დაბრკოლება და უთანხმოება ოსმალეთსა და რუმინიის სამთავროს შორის მოისპო. პრინცს ქარლს ამ მოკლეს დროში მოელოდებიან ქონსტანტინოპოლში.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 4 (16) ოკტომბერს. „ჩრდილოეთის გერმანიის საყოველთავო გაზეთში“ სწერენ, რომ ამ მოკლეს დროში შესდგება სამი არმიის ახალი კორპუსი ღანნოვერისთვის, ელბის საღერცოგოებისთვის, ნასსაუსთვის, გესსენ-ქასსელისთვის და ფრანკფურტისთვისმაინზედ.

ჯვარის გაზეთში სწერენ, რომ ჩქარა სახალხოთ გამოცხადდება აღმორჩეეთის სჯულზედ გერმანიის პარლამენტისთვის.

ᲕᲔᲠᲝᲜᲐ, 4 (16) ოკტომბერს. იტალიის ჯარი, რომელსაც უწინამძღვრებს ღენერალი მედიჩი, შეეიდა დღეს ვერონაში; იმას მიეგება უმრავლესი ხალხი. ჭუჩები მოირთვნენ ბაირაღებით.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 (18) ოკტომბერს. წარსულს ღამეს გადაიცვალა ბარონი ტუენელი, რომელიც უწინ ფრანციაში უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრად იყო.

ᲢᲠᲘᲔᲡᲢᲘ, 7 (19) ოკტომბერს. ლევანტის პოჩტით დღეს მივიღეთ ცნობები ქონსტანტინოპოლიდამ, 1 (13) ოკტომბრიდამ, რომ ოსმალოს სამინისტრო ჯერ-ჯეროობით დარჩება შეუცვლელი. ქანდიის კუნძულიდამ ოსმალოს მთავრობას მოუვიდა მოხსენება, რომ განდგომილებმა მოკლეს ბუსნიბეი, რომელიც მუსტაფა-ქირიტლი-ფაშამ გააუგზავნა იმათ მოციქულათ.

როგორც ათინიდამ იწერებიან, 1 (13) ოკტომბრიდამ, ოსმალებმა დასტოვეს სელივის მაზრა.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ, 7 (19) ოკტომ-

ბერს. ბერძნებს უნდოდათ, რომ ცეცხლი მოეკიდებინათ ოსმალოს ფლოტისთვის, რომელიც ქანდიის კუნძულთან იდგა.

კონსტანტინოპოლის სინოდმა აღიარა რუმინიის ეკკლესიის დამოუკიდებლობა.

ბოსფორში სულთნის სასახლე მომზადებულია რუმინიის მთავრის მისაღებათ, როცა ის მივა კონსტანტინოპოლს.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 20 ოკტომბერს. დიდის ბრძოლის შემდეგ, კანდიელებს მოუკვდათ 400 კაცი. ქანდია ოსმალებს დაჰმორჩილდა. ბეისტი დაინიშნა ავსტრიის უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრად.

პეტერბურგი, 21 ოკტომბერს. მანიფესტმა გამოაცხადა რეკრუტების შეკრება ორივე იმპერიის ნაწილში, ათასზედ ოთხი კაცისა.- პაპამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის უცხადებს თავის უკმაყოფილებას ერთის მხრით იტალიას და მეორეს მხრით რუსეთს კათოლიკების განდევნისთვის.

პეტერბურგი, 21 ოკტომბერს. დანიის მემკვიდრე პრინცი, 19 ოკტომბერს, მოვიდა ზღვით რიგაში, და აქედგან საჩქაროთ განემგზავრება პეტერბურგს რკინის გზით. რეკრუტების შეკრება დაიწყება 15 იანვარს და გათავდება 15 თებერვალს.

პეტერბურგი, 22 ოკტომბერს. მისის იმპერატორებითის დიდებულების მემკვიდრე ხელმწიფის ქორწინებაზედ მოვლენ პეტერბურგს მემკვიდრე პრუსსიის და ვალლიის პრინცები.

იმათ მოელოდებიან ვერჟბოლოვში, პირველს—22 და მეორეს—23 ოკტომბერს; ვერჟბოლოვიდამ პეტერბურგს ისინი განემგზავრებიან რკინის გზით.—იმპერატორმა ნაპოლეონმა დანიშნა კამმისია ფრანციის არმიის გადასაცვლელად და გასამჯობინებლად, რომელსაც მოითხოვენ, სამხედრო მინისტრის აზრით, ეხლანდელი გარემოებანი ბერმანიაში.

პოლშელებს ხელ-ახლა განუზრახავთ ადგომა პოლშაში.

„ვარშავის დნევნიკში“ არის დაბეჭდილი ერთი სტატია, რომელიც არის შედგენილი პოლშის სამეფოს ღენერალ-პოლიცმეისტრის ანგარიშიდამ გამოკრეფილის ცნობებითა.

აი, რა სწერია იმ სტატიაში. „1864 წელს 24 ივლისს შეიპყრეს „ჭონდისნარო დოვის“ (სახალხო მმართველობის) დიკტატორი რომუალდი ტრაუგუტი, რომელიც წინათ ემსახურებოდა რუსის მთავრობას და ჰქონდა პოლკოვნიკის ჩინი; იმავე წლის დეკემბერს შეიპყრეს ქალაქის ვარშავის სარევოლუციო უფროსი ალექსანდრე ვაშკოვსკი, რომელიც იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ამ გვამების შეპყრობის შემდეგ მთელს პოლშის სამეფოში მოისპო რევოლუციური დაწყობილება, რომელიც იყო დამყარებული პოლშის წინანდელს ადგომის დროს.

თუმცა ბევრი იმისთანა პირები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პოლშის ადგომის დროს, დარჩნენ კიდევ ხელმოუკიდებლათ, მაგალითად მღვდელი ბრჟოსკო, მაგრამ იმედი იყო, რომ ესენი მაინც ვერას გაარიგებდნენ. ამისთვის რომ სამხედრო პოლიციის მმართველობა ისე გაფრთხილებული იყო, რომ საცა რაიმე მთავრობისადმი წინააღმდეგობა გაიჩუჩუნებდა, იმავე წამს ქორიკით თავს-დაეცემოდა და ძირში ამოფხვრიდა.

მაგრამ რამდენათაც უფრო მკვიდრდებოდა მშვიდობიანობა ამ მხარეში, იმდენათ უფრო მომჭირნეობით მოქმედებდნენ და მღელვარებას მიეცემოდნენ პოლშელი პატრიოტები, რომლებიც ბავიდნენ ევროპაში. ამ გასულს კაცებს უწოდებენ ემიგრანტებად და იმათ საზოგადოებას—ემიგრაციას.

ემიგრაცია თავს არ ანებებდა იმ ზედ-მოქმედებას, რომელიც იმასა ჰქონდა 1830 წელს იმ გაცალკევებულს პროვინციებზედ, რომელნიც ეკუთვნოდნენ პოლშის სამეფოს.

პოლშელი გაზეთები ყველა ერთის ხმით უქადაგებდნენ ხალხს რუსებისადმი სიძულილს და ამასთანავე მოუწოდებდნენ წვალებულს პოლშას იმ განწყობილს შრომისათვის, რომელსაც, იმათის სიტყვით, უნდა განემზადებინა პოლშა ხელ-ახლა ასადგომად.

ამ აზრს უფრო ნათლად ხსნიდა ერთი ბროშურა, რომელიც აღიბეჭდა ლეიპციხში ამ გვარის ზედ-წარწერილებით: „ყველა პოლშელებს“.

ეს ბროშურა მიიქცევა პოლშელებისკენ და სხვათა შორის აი, რას ამბობს: „ზულგავსებულნი სარწმუნოებითა ჩავსწერთ ჩვენს (ესე იგი პოლშელების) სახელს საზოგადო შეთქმულობის უხილავს ფურცელში, რომელიც არის შედგენილი ჩვენის მტრის წინააღმდეგ; დადუმდეს იმათი ბაგე, რომელნიც ამბობენ, რომ პოლშაში აღარ მოხდება ადგომა ხელ-მეორედ. არა, ჯერ არ გათავებულა! და არც გათაიდება განდგომილება, მინამ ჩვენს მტერს არ დავსძლევთ; ძლევა შეგვიძლიან დავიმსახუროთ შრომით, ბრძოლით და მრავლის მსხვერპლითა„-ასე ამბობს უხილავი ავტორი ზემოხსენებულის ბროშურისა.

ერთი პოლშელი გაზეთი (Отчизна) კიდეც ურჩევს რევოლუციურის შკოლის დაარსებას, რომ ამ შკოლამ კეთილათ წარმართოს განდგომილება, რომელიც უნდა მოხდეს შემდეგში.

ემიგრაციამ იკისრა თავის თავზედ, რომ მიუცილებლად მოახდინოს შემდეგში განდგომილება. ამ განზრახვით ის განაწილდა მრავალს რევოლუციურს წრეებად.

ერთის სიტყვით უკანასკნელი ემიგრაცია თავის მოქმედებით ბევრში ემზგავსება იმ ემიგრაციას, რომელიც მოქმედებდა 1830 წელს.

ახალი პოლშის ემიგრაცია.

პოლშის მთავრობა დიდის მეცადინეობით მოქმედებდა და იმას მაგრად და დაუღლელად ეხმარებოდა სამხედრო პოლიციის მთავრობა, რომ ორთავეს ისევ დაემკვიდრებინათ დროებით დარღვეული წესი ამ მხარეში. ამისგამო ძლიერ გამბედავათ და მოუსვენებლად მოქმედნი პირნი მთავრობის წინააღმდეგ ველარ დადგნენ პოლშის სამეფოში და გავიდნენ ევროპაში.

თავდა-პირველად ისინი ბინავდებოდნენ პრუსსიის და ავსტრიის საზღვრებში; მაგრამ რაკი ბალიციაში სამხედრო პოლიციის წესი მიიღეს და რაკი პრუსსიაში პოლიცია მეტის-მეტად გაფრთხილდა, ისინი წავიდნენ ევროპის დასავლეთით და სამხრეთით. 1864 წელს იმათ ზოგიერთს მხარეში მიეგებნენ უკმაყოფილოთ და ამისგამო მოგროვდნენ ფრანციაში და შვეიცარიაში.

ახალს ემიგრაციაში იგივე განხეთქილება დამყარდა, როგორიც არსებდა 1830 წლის ემიგრაციაში. ის განიყოფება ორ პარტიად, რომელნიც აზრით ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. დემოკრატიული, ანუ წითელი (красный) და კონსერვატო-კლერიკალური, ანუ თეთრი.

ამ ორს პარტიებს შუა შეურიგებელი განხეთქილებაა.

თითო ამ პარტიათაგანი დაიყოფება ურიცხვ განკერძოვებულ წრეებად, რომლების ჩამოთვლა შეუძლებელია და ამისგამო უფრო გამოჩენილს წრეებს დავასახელებთ.

1) **წითელი პარტიის მოთავენი არიან ძმურის შემწეობის საზოგადოება**: იმის წარმომადგენელი: ვალერი ტომჩინსკი, კსენძი (მღვდელი) ქარლოს მიკოშევსკი, დე-ჟან-ბოლსკი და ბადომსკი.

2) **სამხედრო საზოგადოება**. ეს არის შედგენილი რუსის ჯარის აფიცრებისგან; და იმათი თავს მჯდომარენი არიან ვლადისლავი პოგორჟელსკი, ესტატე რიძევსკი და ბენრიხი მაევსკი.

3). **სამხედრო შკოლა**, რომელიც საიდუმლოდ დააფუძნა ზაბელსკიმ პარიჟში.

4). **დემოკრატიული საზოგადოება**, რომელსაც თავს-მჯდომარეობს ძველი მერევოლუციე ლუდვიგ მეროსლავსკი. ამ გვამის შუამავლობით ძველი ემიგრაცია შეკავშირებულია ახალთან.

5) **პოლშის რევოლუციური კერა** (очагъ). ეს საზოგადოება არის ნაწილი საყოველთავო ევროპის რევოლუციურის საზოგადოებისა, რომელსაც აქამომდე ერქვა „ხალხების-საურთიერთო რევოლუციური საზოგადოება (международное революціонное общество).

ამ საზოგადოების კამიტეტი არის ლონდონში და შედგენილია წითელის გვამებისგან: ზენკოვიჩისგან, ბულევსკისგან, ბობროვიცკისაგან, ბოჟესლავსკისგან, ლონდონის ბანკირის ტაილორისაგან და სხვებისგან.

ეს საზოგადოება ყველაზედ უფრო სასაშიშროა. იმას თავისი გაზეთი აქვს გამართული ლონდონში. ამ გაზეთს ჰქვიან „Glos Volny“ და იმის რედაქტორობას ასრულებს ლიტერატურული კამიტეტი, რომელსაც თავს მჯდომარეობს ემიგრანტი მაზურკევიჩი.

ზოგი ამ საზოგადოების წევრები შეერთდნენ შვეიცარიაში მობინავე ემიგრანტებთან და შეადგინეს საზოგადოება საიდუმლო ცეცხლის-მომკიდებლებისა.

თეთრს პარტიას შეადგენენ.

1) **ერთიერთმანეთის შემწე საზოგადოება**, რომლების მოთავენიც არიან: სამსახურიდამ გამოსული პოდპოლკოვნიკი რუსის ჯარის უმთავრესის შტაბისა (генеральный штабъ), ედმუნდი როჟიცკი, მებატონე სვენტორჟეცკი, თავისუფალი მოვარჯისე ექიმი ლეუსკი, (იაბლონსკი), გაქცეული აფიცერი ტყის-მზრუნველობის კორპუსისა (корпуса лѣсничихъ) ვრუბლევსკი და ალექსანდრე ბერნავსკი, რომელიც იყო ვარშავის საექიმო აკადემიის სტუდენტი.

2) **სადიპლომატო კლუბი** შემდგარია იმ პირებისგან, რომელნიც ძლიერ გამოჩენილნი არიან თავის სახელით და მეცნიერებით. იმათში განსაკუთრებით შესანიშნავნი არიან ვლადისლავი ჩარტორიჟსკი, ვლადისლავი ზამოისკი, დოქტორი სევერინი ბალენზოვსკი და სხვები.

3) **უწინდელის ჟონდის წევრების საზოგადოება**, რომელიც შეადგინეს იოსებმა იანოვსკიმ, ვაცლავმა პრჟიბილსკიმ, იოსებმა ბალენზოვსკიმ, უმთავრესის შტაბის აფიცერმა და ბალიციის სეიმის თავს მჯდომარის შვილმა-თავადმა ალექსანდრე საპეგამ.

4) **პოლშელის კსენძების საზოგადოება**. იმას ეკუთვნიან ის კსენძები (მღვდლები), რომელნიც მოქმედებდნენ წინანდელს განდგომილების დროს. ისინი არიან: ბერი ქასპერი